[illegible]

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 350 1918, წ. შაბათი, ოქტომბრის 5. № 350

მოკავშირეებმა დასავლეთის ფრონტზე სენ-კვენტენი აიღეს. ინგლისელებმა მესოპოტამიაში დამასკი აიღეს. ბულგარეთში ავსტრია-გერმანიის ჯარი უკვე ჩავიდა. ჩამოვიდნენ ეკატერინოდარიდან ევგ. გეგეჭკორი და გენ. მარზნიაშვილი. ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

გულდამწვარნი დედ-მამა ქეთევან და დეკანოზი დავითი, დები: ნინო და ევდოკია; ძმები: მიხეილ და ვლადიმერი და რძალი მარიამ ბარნაბიშვილები; სიძეები: ალექსანდრე ნეიმანი და ვლადიმერ ბასილია და შვილი პაწია კატო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაგუტოვსკაის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება შაბათს, ოქტომბრის 5-ს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. განსვენებულის საფლავზე. 1354

მეუღლე ატატო კოტატის ასული, შვილები: დავით, ალექსანდრე და პორფილე ტაიას ძენი ჩაჩიბაიები, პარასკევა ტაიას ასული დგებუაძისა, ეფროსინე ტაიას ასული კობახიძისა და სიძეები ვლადიმერ დგებუაძე და ლევან კობახიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლის, მეორეთა მამის, ხოლო უკანასკნელთა სიმამრის,

ტაია დავითის ძე ჩაჩიბაიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია ოქტომბრის 6-ს სოფ. გურძეში სენაკის მაზრა ადგილობრივი ეკლესიის გალავანში. 2096

კვირას, ოქტომბერის 6 ს, დილის 10 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის სოფ. ქვემო-ჭალაში

დავით ალექსანდრეს ძე ეგაძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძმები ზაქარია და ნკიოლოზ, ეგაძეები, დები ანასტასია ეგაძე და ნატალია ქარუმიძისა, რძლები სოფიო, ოლგა და სოფიო და სიძე დავით ქაიხოსროს ძე ქარუმიძე 2106

გიორგი იოსების ძე და ნინო სოლომონის ასული ყიფიანები შვილებით, იოსებ რევაზის ძე და ბარბალე გიორგის ასული ფალავანდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას. ოქტომბრის 6-ს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

პეტრე იოსების ძის ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. 2107

ქალთა მე-6-ე გიმნაზიის

ქართულ კლასებში (საანბანოდან დაწყებული მე-4-ე კლასამდე) მოწაფეთა მიღება გაგრძელდება ოქტომბრის 15-მდე. გახსნილია აგრეთვე სომხური კლასებიც საანბანოდან დაწყებული 1 კლასამდე. 2104

საქართველოს რკინის გზების სამართველო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ უბილეთოდ მგზავრობის მოსასპობად შემოღებულია ახალი ბარათები. უბილეთოდ მოგზაურთ გზის რწმუნებული აგენტები ვაგონშივე გადაახდევინებენ ფულს და ხსენებულ ბარათზე დაწერილ კვიტანციას მისცემენ. სადაც აღნიშნული იქნება გადახდილი ფული. მგზავრს უფლება აქვს მოსთხოვოს კვიტანცია აგენტს რომელსაც ფულს აძლევს.

თუ აგენტი კვიტანციის მიცემაზე უარს ეტყვის, მგზავრმა უნდა უჩივლოს მას საქართველოს რკ. გზების სამართველოს სამოძრავო ნაწილში. 1356

ყველა უმუშევრად დარჩენილ ქალებსა და კაცებს ქ. ტფილისში.

უკანასკნელ თვეებში დაიხურა მთელი რიგი საწარმოვო, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა და მრავალმა მუშამ დაკარგა ადგილი და სამუშაო ქირა. უმუშევართა ერთმა ნაწილმა დასტოვა ქალაქი, გავიდა რესპუბლიკის საზღვრებიდან, ან სოფელში გადასახლდა. ისინი კი, რომელნიც ტფილისში დარჩნენ, სცდილობენ იშოვონ რაიმე სამუშაო, რომ თავი ირჩინონ, მაგრამ ამას ძნელად ახერხებენ რადგან ხშირად არ იციან, სად არის მოთხოვნილება მათ სამუშაო ძალაზე. იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებას სჭიროდა განსაზღვრული რიცხვი მუშებისა მაგრამ ასეთებს ვერ პოულობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უმუშევარნი მრავლად არიან.

შრომის სამინისტროს სურვილია შეძლებისა და გვარად დაეხმაროს უმუშევართ, ერთი ადგილი მიუჩინოს ქალაქის ბირჟაში შრომის მოთხოვნისა და მიწოდების საქმეს და გამოიყენოს სამუშაო ძალა არსებულ პირობებში შესაძლო საზოგადო სამუშაოში. ამისათვის მან გადასწყვიტა მოახდინოს საერთო აღწერა ყველა უმუშევართა ქ. ტფილისში, რომ გამორკვეული იქნას მდგომარეობითი რიცხვი და რიცხვი შრომის დარგის მიხედვით. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ამა თუ იმ დახმარების გაწევა იმათთვის, თუ გვეცოდინება, რამდენი უმუშევარია და რამდენად მწვავეა მათი მდგომარეობა. აღწერა მოხდება ასე:

აღწერას ახდენს ქალაქის შრომის ბირჟა. ქალაქი გაყოფილია ექვს რაიონად. ქვემოდ ნაჩვენებ ადგილებში იქნებიან აღმწერლები, რომელნიც განსაკუთრებულ ფურცლებში ჩასწერენ ყველა გამოცხადებულ უმუშევრებს. ამის შემდეგ თავს მოუყრიან ცნობებს შრომის ბირჟაში.

უმუშევართა საერთო აღწერა სწარმოებს სამი დღის განმავლობაში—ოქტომბრის 5, 6 და 7 დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და სალამოს 4—6 საათამდე. ამ დღეების განმავლობაში ყოველი უმუშევარი ქალი და კაცი თავის საკუთარ ინტერესისთვის უნდა ჩაეწეროს ქალაქის შემდეგ ადგილებზე:

1. **ნაძალადევი** ნაძალადევის თეატრი.
2. **სახალხო** უნივერსიტეტი—მიხეილ. ს პრ. 91.
3. **ავლაბარი**—კახეთის ქ. № 1—ბინა ს. დ. პ ორგანიზაციის მეს.მე კოლექტივისა.
4. **წყნეთის ქ. № 9,** ვერის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი.
5. **ხარფუხი,** სოფიოს ქ. № 3, ორთაჭალის მუშათა კლუბის ბინა.
6. **მაიდანი.** კუთხე ციხის გადასახვევისა და ვორონცოვის ქუჩისა—სასტუმრო „მოსკოვსკაია“.
7. **ქალაქის შრომის ბირჟა,** მადათოვის ქ. № 11, ალექ. ბაღის პირდაპირ.

უმუშევარნო იჩქარეთ ჩაეწეროთ.

შრომის სამინისტრო. 1357

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, შაბათს და ორშაბათს ღვინობისთვის 4, 5 და 7-ს საქველმოქმედო მიზნით გაიმართება სალამოები

ლოტოს თამაში

მომგები, ფულის მაგივრად, მიიღებს 15 ქართულ ლატარიის ბილეთს. დასაწყისი სალამოს 9 საათზე. 1353

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირში

საჭიროა

ინსტრუქტორები

მცოდნე კოოპერაციისა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად.

პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უფროსს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე.

თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. მიხაილოვის პროსპ. სახლი № 178. 1350

შაქრის ბარათები

ოქტომბრის 7-დან საუბნო საბარათო ბიუროებში დაიწყება შაქრის ბარათების გამოცვლა—ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლისა და სარაიონო ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ ა) სახლის წიგნი, ბ) სახლის სარეგისტრაციო უწყება, გ) პიროვნების მოწმობა და დ) ჩამოწერილი ბარათი, ან-ბანით დაწყობილი.

სარეგისტრაციო უწყება დამოწმებულ უნდა იქმნას საუბნო სასურსათო კომიტეტში. საანბანო ბარათის მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროში.

სასურსათო ბარათის ფასი 10 შაური თითო რაციონზე, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა თითო ბარათზე.

1918 წ. ოქტომბრის 1. გამგეობის წევრი. 1349

კვირას, ოქტომბრის 6-ს, დილის 11 საათზე საკრებულოს „კრუჟოკის“ საზოგადო შენობაში დანიშნულია ქ. ტფილისის

სახლის პატრონთა საზოგადო კრება

განსახილველია: 1) სექტემბრის 29 ს არჩეული კომისიის მოხსენება ნაგავის გატანისა და საპაიო ამხანაგობის მოწყობის შესახებ; 2) ი. ლადიჟენსკის მოხსენება ყოფილ რუსეთის იმპერიის რესპუბლიკებში საბინო საკითხის და სრულიად რუსეთის სახლის პატრონთა კავშირის მუშაობის შესახებ, 3) ნაფიცი ვექილის მზარეულიშვილის მოხსენება: სახლის პატრონთა უმწეო მდგომარეობა, ტფ. ქალ. გამგეობის პროექტი ბინის კანონის შეცვლის შესახებ, ქალაქის მამულის ჩამორთმევა, სახლის კომიტეტები (მათი ღირსება და ნაკლი). კავშირის ბიურო (პუშკინის ქ, № 15) ღიაა 11—2 ს. საიურიდიო რჩევა სამშაბათობით და ხუთშაბათობით 6—7 საათ. 2098.

მე-II წელიწადი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია **მე-II წელიწადი**

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ჩხენიას ქ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაცადინობა სალამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია სალამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე **ნ. ნ. შულგინი.**

1917—1918 სამოსწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწყებით ქართულ, სომხურ, მუსულმანურ და ოსურ სასწავლებლებში საჭირო არიან ხატვის მასწავლებლები. ამ თანამდებობის მიღების მსურველებს სპეციალური მომზადება უნდა ჰქონდეთ ხატვაში და ბავშების სამშობლო ენა უნდა იცოდნენ

თხოვნები და მოწმობათა პირები მიიღება ქალ. გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში 1918 წლის ოქტომბრის 20-მდე. 1355

ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ყველა პირველდაწყებით, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებში, სახელოსნო და ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლებში სწავლა დაიწყო სექტემბრის 20-ს, ოთხ რუსულ პირველდაწყებით სკოლასთან—I ვერის, ქალთა სკოლასთან, ლადინის და რიყის სკოლებთან—გახსნილია მეოთხე განყოფილება

სწავლა ყველა პირველდაწყებით სასწავლებელში, ქალთა პროფესიონალურ სახელოსნოებში და სახელოსნო სკოლაში უფასოა. 1355

სარეკლამო ბიურო „რიამ“-ს კანტორაში

გაიხსნა

ბიურო **ქართულ** და რუსულ

მანქანებზე

ხელმისაწდომ ფასებში

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 სახელმწიფო ბანკის პირდაპირ. 1346

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ. ისტ.)
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

ცნობად: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთ ერთი სავაჟო ან საქალებო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ველიკოკნიაჟ. 91). 1352

ტფილისი, ოქტომბრის 5.

მოხეტიალე სახელმწიფო. რუსეთის სახელმწიფო დღესაც დაუდეგარ ზღვას წარმოადგენს, რომლის ნაწილებში არავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობს. ბოლშევიკურმა რუსეთმა ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება, მან ვერ მიიზიდა რუსეთის პერიფერია, ვერ გააფართოვა თავისი სამფლობელო და პირიქით, ის კუთხეც კი ვერ დააწყნარა, რომელიც მის სავანედ არის მონათლული. ამ გარემოებას უდიდესი და საბედისწერო მნიშვნელობა აქვს როგორც რუსეთისათვის, ისე ყოფილ მის ნაწილებისათვის. ამ პირობებში სულ ადვილად შეიძლება რუსეთის ხელისუფლება დაიმკვიდროს დღეს უჩინარმა ძალამ, რომელიც კი შესძლებს ძალების დაგროვებას და მის დისციპლინის და წესიერების ფორმაში მოქცევას.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში ისეთი უკმაყოფილო ელემენტები საკმაოდ არიან, რომელნიც დღითი და ღამით იმის ცდაში არიან, რომ სამარე გაუთხარონ ბოლშევიკურ რუსეთს და ეს უკმაყოფილო ელემენტები, უმთავრესად შავრაზმელებისაგან შემდგარი არა თუ არ სცნობენ ძველ რუსეთის სივრცეზე შექმნილ მრავალ რესპუბლიკას, ისინი არც ერთ სახელმწიფოებრივ ფორმაციას, და არც მოსკოვისაც, კანონიერად არ სცნობენ. ისიც ყველამ იცის, რომ ასეთი ელემენტები ძალას იკრებდნენ უმთავრესად სამხრეთ რუსეთის მიმართულებით, აგროვებდა ერთგულ ჯარს, ხალხს, ხაზინას და ერთი რესპუბლიკიდან იგი გადადიოდა მეორე რესპუბლიკაში. ამ ჟამად დღეს ეს ძალა უფრო ჩამოყალიბდა გენერალ ალექსეევის ირგვლივ, რომელიც საქართველოს მეზობელ სახელმწიფოში მოქმედებს. ეს ნამდვილად მოხეტიალე სახელმწიფო, ორგანიზაცია უტერიტორიო, მაგრამ ადმინისტრატიულ და ფინანსიურ აპარატით აღჭურვილი, თავის მოქმედების გეგმას აფართოვებს, იგი ბატონია თითქმის მთელი ყუბანისა, ამ დღეებში ცნობა იყო, რომ ამ მოხეტიალე სახელმწიფომ კავკავი დაიპყრო და პრეტენზია აქვს გამოცხადებული ერთის მხრივ დაემუქროს ტფილისს და მეორე მხრივ შეესიოს დონის მიდამოს.

აშკარაა, თუ რა ხასიათის არის ალექსეევის სახელმწიფო. მაგრამ მის შავ კბილებს ყველაზე კარგად ახლო მდგომნი ხედავენ და აკი ჩვენს გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობა სოჭის ქართველობის პეტიციის შესახებ საქართველოს მთავრობისადმი, სადაც ალექსეევი დასახულია საქართველოს თავისუფლების მესაფლავედ და სოჭელი მოძმენი კი ჯარით დახმარებას მოითხოვენ მთავრობისგან.

ეს საკითხი მეტად სერიოზულია. გეგეჭკორის დელეგაციას ყუბანის მთავრობასთან ეტყობა ვერაფერი გაურიგებია სწორედ ალექსეევის გამო, ამისათვის ალარავითარი მნიშვნელობა არ აქვს ყუბანის პრემიერის ბიჩის ტკბილად საუბარს ნოე ჟორდანიასთან. დიახ, ჩვენს მახლობლად მოღრუბლული ცაა, სადაც ტარტაროზის სახის ალექსეევი სდგას შურის ძიების გრძნობით გაჟღენთილი. რაკი ეს მოხეტიალე სახელმწიფო ჩვენს მეგობრობას უარყოფს, აშკარაა ყველა ის ხელშეკრულებაც შეიძლება გაქარწყლდეს, რომელიც პურის შესყიდვისთვის დადვეს ქართველმა კომერსანტებმა და სასურსათო სამინისტროს რწმუნებულებმა. სამწუხაროდ პურის საქმის შესახები ცნობაც სახიფათოა ჩვენთვის. ერთი სიტყვით, რუსეთის მხრივ ალექსეევის ჯილი ჩვენთვის გამორკვეულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს რეაქციონერი გენერალი სამხრეთიდან ცდილობს ბოლშევიკურ რუსეთის დანგრევას და რუსეთის რევოლიუციის სრულს ლიკვიდაციას როგორც გამოცდილი მეომარი და იმპერიალისტურ ადეტიზმით გაჟღენთილი პოლიტიკოსი, ის ჩრდილოეთით გაეშურება მაშინ, როცა მთელი სამხრეთი იქნება მის განკარგულებაში და მაშასადამე, სოჭელ ქართველების ხმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სამხრეთის ფრონტის მთლიანობისათვის ალექსეევმა შესაძლოა პირველ ყოვლისა საქართველოს მოსპობა და დამორჩილება მოინდომოს.

საქართველოს საარსებო ინტერესი, ინტერესი თვით რუსეთის რევოლიუციისა მოითხოვს ალექსეევის ჯარის დროზე ლიკვიდაციას. ეს რაზმი სავსებით ავანტიურისტულია, ემყარება გაკოტრებულ კადეტების ფანტაზიას, არავის არა სცნობს, თვითონაც უტერიტორიო და უდიპლომატიო მოხეტიალე ერთეულია და ბაში-ბუზუკებივით დაძრწის სახელმწიფოდან სახელმწიფოში. რამდენადაც ავანტიურისტული ეს რაზმი, იმდენადვე მეტი ენერგია უნდა დაიხარჯოს მის სალიკვიდაციოდ, ვინაიდან ანარქიის ტალღებში რუსის ხალხი მოიღალა და ამ მოღლილობის დროს იმედ გაცრუებულებს და რუხი ფერის ნაძირალებს ალექსეევის რაზმი უხვად იკრებს გარშემო. სწორედ იმიტომ არის, რომ ალექსეევი ამ ბოლო დროს უფრო გაძლიერდა ფიზიკურად და შესძლო ბოლშევიკურ ჯარების მრავალ ჯერ დამარცხება.

მაგრამ ალექსეევი ჩვენთვის კიდევ უფრო დამაფიქრებელი იმიტომაც არის, რომ თვით ჩვენს გულუხვ ქვეყანაში მას ბევრი თანამგრძნობი ჰყავს. ყველა ის, ვინც გუშინ მაქსიმალიზმის პრინციპს ქადაგებდა და ბოლშევიკურ სოციალიზმის სახელით გვეწინააღმდეგებოდნენ, ყველა ეს ელემენტები არსებითად იბრძოდნენ არა დემოკრატიზმისა და სოციალიზმისთვის, არამედ ცენტრალისტურ რუსეთის აღსადგენად, თავისუფალ ოაზისების მოსასპობად, იმპერიალიზმის დასამკვიდრებლად იქ სადაც რუსული ინდუსტრია და უთვისტომო სპეკულიაცია და ფინანსიური აჟიოტაჟი ელდორადოს ნახავდა.

სასტიკი ნაციონალიზაცია ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკის საზღვრების სასტიკად დახურვა, გაძევება ყველა არამზადა უცხოელების ეს აუცილებელი, საშური დიდი სახელმწიფოებრივი და რევოლიუციონური საქმეა. მხოლოდ ასეთ საშინაო ერთობის და ერთიანობის ჩამოგდებას უნდა მოჰყვეს მილიტარულ ძალების დაგროვება ალექსეევის რაზმის სალიკვიდაციოდ.

რუსეთის რევოლიუციის ლიკვიდაცია საქართველოდან ვერ მოხდება, ალექსეევი აქ ვერ დაიმკვიდრებს რეაქციონურ ბუდეს და ვიდრე საქართველოს რესპუბლიკა და ქართველი ხალხი არსებობს. მანამდე ვერ მოითმენს რომ მის საზღვრებთან ბანდები იყვნენ რესპუბლიკის და რევოლიუციის მოსასპობად.

პარტიათა შეთანხმებისათვის

2

რთული პოლიტიკური სიტუაცია, მოვალეობა ჩვენი ერისა და ისტორიის წინაშე სავსებით შეგნებული აქვთ სოციალ-დემოკრატების შეგნებულს ნაწილს, მათს მეთაურებს, რომელნიც ძალა უნებურად სახელმწიფოს მესვეურებად გამოდიან; ისინი დღეს ჩვენს თავისუფლებას სთვლიან რევოლიუციის ერთ-ერთ დიდ მონაპოვარად და მის შენარჩუნებისათვის შეძლებისა და გვარად იღწვიან, მაგრამ მათ ზურგს უკან დგას რამოდენიმე პატარა კაცუნა, ვიწრო ეგოისტი, რომელსაც ხვალინდელი დღე არა აქვს, რომელსაც იდეალი არა აქვს, რომელიც რევოლიუციის ტალღებმა ანაზდეულად ამოატივტივა ცხოვრების ზედა პირზე და რომელიც დამთვრალია უფლებით, კმაყოფილია მით რომ იგი დღეს ბევრის შემძლეა და ჰგონია მთელი რევოლიუცია მხოლოდ მისთვის მოხდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ სრული თანხმობა სუფევს დღეს სოციალისტურს მთავრობაში საღმაშენებლო მუშაობაში, ჩვენ ვხედავთ, რომ თანხმობით და ერთურთის დახმარებით მუშაობენ ჩვენი და სოც. დემოკრატების საპარლამენტო ფრაქციები, მაგრამ იქ სოფლად, პროვინციაში რევოლიუციის კაცუნები ისევ ძველებურად განაგრძობენ ჩვენს დევნას, ისევ ძველებურად დაგვცინიან, ძველებურს საზიზღარს ბრძოლას აწარმოებენ ჩვენ წინააღმდეგ. ამათ შესახებ როდისმე სხვა დროს მოვილაპარაკებთ, ახლა კი მინდა შევჩერდე სახაზინო რკინის გზის საქმეებზე.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ქონდა აზრი და დანიშნულება რევოლიუციის პირველს თვეებში, უკვე იმავე ფუნქციებით და უფლებებით სრულიად არ შეეფერება არსებულს მდგომარეობას. კიდევაც თანდათან ხდება ამ კომიტეტის ბუნებრივს კალაპოტში ჩაყენება. მართალია ძველი ენანება ამ კომიტეტს უფლებების დანებება, მაგრამ ამ ჟამად მხოლოდ მედიკურ-სანიტარული უწყების თაობაზე სწარმოებს დავა მთავრობასა და ამ კომიტეტს შორის

პირდაპირ შეუწყნარებელს სისუსტეს იჩენს გზათა მინისტრი, სათაკილო მდგომარეობაშია ჩავარდნილი თვით მთავრობაც, როდესაც მოხელეებთან მთავრობა განკარგულებათა, წინადადებათა და ბრძანებათა ენით კი არ ლაპარაკობს, არამედ ეხვეწება, არწმუნებს ამა თუ იმ ზომის მიღებაში. რამდენი შრომა დასჭირდათ სოციალ-დემოკრატებს, თვით ირ. წერეთელი და ნ ჩხეიძეც კი გაგზავნე რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობაზე სექტემბრის 15 ს და ძლივს მიაღებინეს რამდენიმე გადაწყვეტილება, როგორიც საჭირო იყო სახელმწიფოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პირების ოინების წყალობით ეს ყრილობა თითქმის მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) იყო და სხვა პარტიის ხალხთ კი საშუალება მოუსპეს მონაწილეობისა, რომ ახალს კომიტეტში სულ თავისიანები გაეყვანათ და საქმე შინაურულად მოეგვარებინათ

ერთი მთავარი მომქმედი პირი ამ რკინის გზებზე გამეფებულ უსამართლობისა, უწესოებისა და ჩვენი მთავრობის აბუჩად აგდებისა არის ნინუა.

ნუ თუ მთავრობის აბუჩად აგდება და მისი სახელის გატეხვა არ არის, რომ ისეთი სერიოზული და სპეციალური დარგი, როგორიცაა მედიკურ-სანიტარული განყოფილება მთელს გზაზე იმყოფება რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის კომიტეტის გამგებლობაში და ისიც მეისრე ნინუას მთავარ გამგებლობით?!

ჯერ ერთი, სრულიად შეუწყნარებელია ეს დარგი ექვემდებარებოდეს პროფესიონალურს კავშირს და არა სახელმწიფოს მთავრობას. თუ იტყვიან, სხვა მუშათა პროფესიონალურს კავშირებს ექვემდებარებიან აგრე წოდებული „სავადმყოფო კასებიო“, იქ პროფესიონალური კავშირის წევრნი ნახევარს ხარჯს მაინც იხდიან და აქ კი ეს განყოფილება ერთიანად სახელმწიფოს ხარჯზე ინახება. ყოველ შემთხვევაში სამკურნალო ნაწილის შტატში რა ხელი უნდა ჰქონდეს გზის კომიტეტს?! ცხადია არავითარი, რადგანაც არსებობს აგრეთვე ექიმთა კავშირიც.

კომიტეტი გზის მილიციასაც კი არ უშვებს ხელიდან, თითქოს საქართველოში ორი მთავრობა შეიძლება იყოს ორი მილიციით! ყოველ შემთხვევაში გზის მილიცია მთავრობის განკარგულებაში უნდა იყოს და მედიკურ სანიტარულს დარგში წარმომადგენლის უფლების მეტი არავითარი გავლენა არ უნდა ქონდეს კომიტეტს, მაგრამ წარმოიდგინეთ გამოდიან მეისრე ნინუას მსგავსი პირები და ემუქრებიან კიდეც მთავრობას: —ეს ჩვენი პროექტი თუ არ მიგვიღიათ გაფიცვამდისაც კი მივალთო და სხ. და სხ. ასეთი უკმეხი სიტყვით ელაპარაკებიან მთავრობას და მთავრობას საშუალება არა აქვს ისე მოიქცეს როგორც მას მიაჩნია საუკეთესოდ?! სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი თავხედობა მოხელეებისა? სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი სამარცხვინო არევდარევა პროფესიისა? ნინუა შეიძლება კარგი მეისრე იყო, მაგრამ სად მეისრე, სად საექიმო ნაწილი?! გზის მოსამსახურეთა ყრილობაზე ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ჩხეიძეს უთქვამს: „ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მეეზოვეს ლექციები წაეკითხა, მაგდამ, როცა დასჭრეს, საუკეთესო ექიმებს მოუწოდაო“ კარგად უთქვამს, მაგრამ „დე ტე ფაბულა ნარატურ“ ბატონო ნინუა! ეს თქვენ შეგეხებათ ბ. ნინუა! რაც უნდა კარგი მეისრე იყოს კაცი, შეუძლებელია იგი საექიმო ნაწილშიაც მცოდნე იყოს და ყოვლად შეუწყნარებელია ამასთანავე ის სათაკილო სითამამე, რომელსაც ეგევე მეისრე იჩენს.

ჩვენთვის მიუღებელია და შეუწყნარებელი ყველივე, რაც სახელს უტეხს ჩვენს მთავრობას, რაც მის ღირსებას ამცირებს და ამაზე მეტი დამცირება შეიძლება, როდესაც ჩხეიძის მახვილი ენით რომ ვსთქვათ „დვორნიკი“ საექიმო ნაწილის ლექციას კითხულობს?! მთელი წრფელი გულით პროტესტს ვაცხადებ ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ და ვამბობ რომ შეუძლებელია ასეთი სამარცხვინო ამბები დაუყოვნებლივ არ მოისპოს.

აი ერთი დამახასიათებელი ნიმუში იმისა, თუ როგორ მიაჩნია ნინუას საქართველოს რესპუბლიკა თვისი უვიცობის და სათაკილო სითამამის გამოსაჩენ ასპარეზად.

რკინის გზის კომიტეტმა და ამ მეისრე გამგემ ვერ შეითვისა და ვერ შეიგუა თუთხმეტი წლის ნამსახური ცნობილი ექიმი მუსხელიშვილი და იგი დაითხოვეს სამსახურიდან კომიტეტის და ამ მეისრე-გამგის დაურიდებელი კრიტიკისათვის.

გზათა მინისტრმა სიტყვიერი განკარგულება მისცა უფროს ექიმ სტანიშევსკის მუსხელიშვილი მიეშვა თავის სამსახურზე, ეს არ შეიწყნარა ყოფილმა მეისრემ და დღეს მედიკო-სანიტარულ საქმის გამგემ ნინუამ და აი რა დამახასიათებელი დიალოგი გაიმართა მასა და სტანიშევსკის შორის: „რად უშვებთ თქვენ მუსხელიშვილს სამსახურზე, აკი მე გიბრძანეთ არ მიუშვათ?

— მე მიუშვი მუსხელიშვილი გზათა მინისტრის ბრძანებით.

— მე არავითარი ასეთი ბრძანება არ ვიცი. მინისტრს შეეძლო კომიტეტისათვის მიემართნა, ახლა მე კი გიბრძანებთ არ მიუშვათ და საერთო თქვენ ჩემი ბრძანება უნდა შეასრულოთ და არა მინისტრისა. დიაღ, მან თავის კაბინეტში იმუშაოსო და თან ყოფილს მეისრეს მოჰყავს ასეთი მაგალითი თავის ძველი ხელობიდან: „რკინის გზის მთავარ გამგესაც კი არა აქვს უფლება მეისრეს უბრძანოს ისრის გადაყენებაო“ და ამ გულუბრყვილო მეისრეს აზრადაც არ მოსვლია, რა დიდი განსხვავებაა ამ ორ მოვლენას შორის. აი ეს იცის იმან, როდესაც მეისრეს დაკისრებული აქვს დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური როლი.

ეს ნინუა აწარმოებდა ფარულს გამოძიებას და ჩუმად ეკითხებოდა მოსამსახურეთ: რაიმე ცუდი არ იცით მუსხელიშვილის შესახებაო? მაგრამ ასეთი ნამუსგარეცხილი ნინუამ ვერავინ იპოვა და ბოლოს „კონტრ-რევოლიუციონერობისათვის“ დაითხოვა მუსხელიშვილი სამსახურიდან და ეს მოსამსახურეთა **პარტიულს ყრილობას** კიდეც დაადასტურებია.

მუსხელიშვილი რომ კონტრ-რევოლიუციონერი არ არის, ამის მტკიცება ქართულს საზოგადოებას არ უნდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კონტრ-რევოლიუციონური საქციელია როდესაც მოხელე არა თუ არ ასრულებს მთავრობის ბრძანებას და განკარგულებას, უდიერადაც კი იხსენიებს, ემუქრება და ხელს იქა ყოფს, სადაც არ უნდა ჰქონდეს.

ასეთი პიროვნებანია რკინის გზაზე ყოველს საშუალებებს რომ იღებენ სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ, სდევნიან და დასცინიან მათ. რევოლიუციის ამ ძარცველთ ვერ გაურჩევიათ პარტიული, ვიწრო ეგოისტური და სახელმწიფოებრივი ერთი მეორისაგან და სდევნიან სხვებს, რომ მერე „თავისიანებში“ უფრო თავისუფლად აკეთონ თვისი საქმეები.

მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ასეთ ბედის მაძიებელთ დღეს დიდი ძალა აქვთ და არ ემორჩილებიან არც პარტიულს დისციპლინას, არც მთავრობას, არც თავიანთს მოწინავე ამხანაგებს, მაგრამ ნუ ჰგონიათ. რომ დღესაც, საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკაში ყველამ შესძლოს უპასუხისმგებლო მოქმედება.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოწინავეთ, ჩემი აზრით მათ ევალებათ, რადაც უნდა დაუჯდეთ ალაგმონ ზოგიერთი თავგასული ამხანაგები, თორემ ყურის მოყრუება ასეთ საქმის წინაშე, ხელის დაფარება და მათი წათამამება, მათს ცდუნებას და გაბრიყვება, უდრის, იმედი უნდა ვიქონიოთ მესვეურნი პარტიისა, რომელნიც წინ იცქირებიან და პირადი ინტერესებით დაბრმავებულნი არ არიან, თავგასულ კომისრებისა და ფანატიკოს პროპაგანდისტების ჟინიანობას არ შესწირავენ იმ მწყობრ მუშაობას, რომელსაც ვეწევით ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს გასამაგრებლად.

ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ დემოკრატიულს რესპუბლიკაში შესაძლებელი გახდეს იდეიურ მოწინააღმდეგეთა ისეთი სამარცხვინო და უკადრისი ზომებით ბრძოლა, როგორც ეს იყო წინად და რევოლიუციის პირველს თვეებში და თუ კი მოლოდინის გარეშე ეს ცუდი ნიშნები გაიზრდება, იცოდეს ყველამ რომ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თვისი მოქალაქეობრივი უფლებები ყოველი ზომით დაიცვას და ერთი ასეთი უფლებაა თავისუფლება მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსისა.

ს. დანი.

მთავრობაში

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ყოველი კასის ერთიანობის დარღვევა მიჩნეულ იყოს საპასუხისმგებლო მოქმედებად.

სამეგრელოში მომქმედ რაზმის უფროსის ი. გედევანიშვილისგან მოსულ ცნობის შესახებ (დამნაშავეთა გასამართლება), მთავრობამ დაადგინა: დაევალოს იუსტიციის მინისტრს სათანადო განკარგულება მოახდინოს, რომ საქმის სიჩქარისათვის დამნაშავეთა საქმე ცალკ-ცალკე ირჩეოდეს და არა ერთბაშად.

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით გაუქმებულ დაწესებულებათა მოხელეთათვის საჭირო მოწმობის მოცემის შესახებ. მთავრობამ დაადგინა: საკრედიტო მოწმობების შემუშავება მიენდოს იუსტიციის მინისტრს, შრომის მინისტრთან შეთანხმებით.

სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებით სამხედრო და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს დაევალა, ჯარის კაცებზე და სახალხო გვარდიის ნაწილებზე სოფლის მცხოვრებთა საჩივრები გამოიძიონ.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მუშტაიდის ბაღი გადავიდეს ქალაქის ხელში იმ დრომდე, სანამ ამას საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

მთავრობის სხდომაზე ოქტომბრის 3-ს მიწათ-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი 61,500 მანეთის გაღებისა მინერალურ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ მოწონებულ იქმნა და დადგენილ იქმნა კანონ-პროექტი გადაეცეს გასარჩევად ეროვნულ საბჭოს.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება სათესი ადგილების მონახვის შესახებ მიღებულ იქნა, იმ პირობით, რომ როდესაც შემოღებულ იქნება ერობა, ამ საქმის მოგვარებაც უკანასკნელს დაევალება.

ფინანსთა მინისტრის მოხსენება შაქარზე ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა: გადაეცეს განსახილველად მოხსენება ეროვნულ საბჭოს.

დადგენილ იქმნა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 4,166 მან 68 კაპეიკის კრედიტი ტფილისის სახაზინო პალატის სადგომის ქირი გასასტუმრებლად.

დადგენილ იქმნა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 31,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან სახაზინო პალატის სასტამბო საქმეებისათვის.

სვანეთში ოქროს მოსაძებნად ექსპედიციის გაგზავნის შესახებ მოხსენება გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

დადგენილ იქმნა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 20,050 მან. კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმდინარე წლის დასახმარებლად

ბანკებსა და ხაზინაში ფულის გადაგზავნისა და შეტანის შესახებ დადგენილ იქმნა მიენდოს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს საკონვენციო წესების გამომუშავება და წარმოდგენა.

მოხსენება გასართობებზე შესავალ ბილეთებზე გადასახადის სახაზინო შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ მოწონებულ იქნა დადგენილია წარედგინოს ერ. საბჭოს კანონპროექტი ამის შესახებ, რომ გასართობებზე შესავალი ბილეთების გადასახადი რომელიც არსებობდა ყოფილ იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის უწყების სასარგებლოდ, გადაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად.

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: კანონ-პროექტი, პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გახსნისა და ზოგიერთი უკვე არსებულის სახაზინო ხარჯზე მიღების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

დადგენილ იქმნა გაეხსნას განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 5,237 მან. 54 კაპ. კრედიტი, ტფილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლების მასწავლებელთა სექტემბრის ჯამაგირებისათვის.

დადგენილია: გაეხსნას განათლების მინისტრს 10,000 მანეთის კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან კავკასიის მუზეუმის ამშენებელ კომისიისათვის საჭირო ხარჯების გასაწევად,

კანონ პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროული დახმარების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

დადგენილია: დაევალოს ფინანსთა მინისტრს დაუყონებლივ მისცეს პროვინციის მასწავლებლებს ჯამაგირები, მხოლოდ ეს მოხდეს სამხედრო სამინისტროს ხარჯების დაკმაყოფილების შემდეგ.

შრომის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ჯარისათვის თივისა და ხორცის მომწოდებელ ორგანიზაციების მოხელეთათვის საკრედიტო მოწმობის მიცემა მიენდოს შრომის მინისტრს.

დადგენილია: გაეხსნას შრომის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 5,000 მანეთის კრედიტი სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის.

დადგენილია: მიენდოს მთავრობის საქმეთა მმართველს და იუსტიციის მინისტრს შემდეგი სხდომისათვის სალიკვიდაციო კანონის განმარტების წარმოდგენა:

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ჩვენს წარმომადგენელს ადერბეიჯანში ეხლავე გაემგზავროს ბაქოში განათების შესახებ; მიეცეს იოსებ დადიანს ბარათი, რომ მას მინდობილი აქვს სასწრაფოდ მოაწყოს ნავთის გადმოგზავნა.

გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებლის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: საერთაშორისო არბიტრაჟში წევრის დანიშვნა მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი. 10—2. ფლანდრიაში, კამბრეს ორივე მხრით და შამპანში მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი შტადენის ჩრდილოეთით, მტრის იერიშების მოგერიებისას 100 კაცი დავატყვევეთ მტერი ლედეგემი განაგრდა. კონტრ-იერიშის შემდეგ ამ სოფლის აღმოსავლეთი ნაწილი დავიბრუნეთ. კამბრესთან ბრძოლა მეხუთე დღესაც მტრის საზარალოდ დამთავრდა. სანკურტის ჩრდილოეთით შლეზვიგისა და ჰესენის პოლკებმა მტრის 7 იერიში მოიგერიეს. მტერი აბაკურტს იქით გავრეკეთ. რუმილი მტრის ხელში დარჩა.

ბოინეს ლაშქარი. ელეტსა და უაზას შუა ჩვენი ფრონტი სენკანტენის აღმოსავლეთის მხრით გადის სენკანტენი გუშინ მტერმა დაიკავა.

გენერალ კრონპრინცის ლაშქარი. ელეტსა და ენს შუა, რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით, უკან დავახევინეთ ჩვენ ჯარს ველიდან საზურგო პოზიციებისაკენ. მტერი გამოედევნა ჩვენს ჯარს და საღამოს იმყოფებოდა . .. (გამოტოვებულია) ვილერ-ფრანსე, შამპანში ფრანგებმა იერიშები განაახლეს. მტერმა უნაყოფოდ მოიტანა იერიშები სენმარი-მონტბუას ფრონტზე.

ბერლინი. 10—2. საღამოს ცნობა. ფლანდრიასა და შამპანში სასტიკი ბრძოლაა. კამბრესთან სიწყნარეა.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. 10—2. სასტიკი ბრძოლების შემდეგ დამასკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ მაღლობებზე, სადაც ჩვენი და გერმანელების ჯარი მედგრად ებრძოდა მტრის დიდ ძალებს, ქალაქი მტერს დაუტევეთ.

ბერლინი. (მოსკოვის ცნობა) დანიის გაზეთების ცნობით ინგლისელებმა ბელგიაში აიღეს დიქსმიუდე.

ლიონი. 10—2. (მოსკოვის ცნობა) ვერდენის მთელ ფრონტზე მოკავშირენი იმარჯვებენ. ბელგიის ფლანდრიაში გუშინ ინგლისელ-ბელგიელებმა შეუტიეს რულლერის მიდამოებს, გადასჭრეს სულლერ-მენინის გზა. დუე-კამბრე-სენ კანტენის ფრონტზე ინგლისის ჯარმა აიღო პრავილი, ტილუა და კამბრეს გარემოში ბრძოლაა. იტალიელებმა სუპირი აიღეს ფრანგებმა მენტუას მიაღწიეს.

პალესტინეს ფრონტზე იორდანეს აღმოსავლეთით 1,000 ტყე ოსმალო წამოიყვანეს მოკავშირეებმა

ბულგარეთის ამბები

მოსკოვი 10—2. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

ბერლინი. ბულგარეთში ავსტრია-გერმანიის დივიზიები გაიგზავნა რუმინიიდან პელანტერისა და ბალტინის მეთაურობით და ავსტრიის ჯარიც ალბანიიდან. კანტი-კუნტი ცნობები მოგვდის რომ სოფიის სამხრეთით ბრძოლაა ალბად ებრძვიან ბულგარეთის აჯანყებულ ჯარებს.

ბერლინი კონსერვატიული პრესა მოითხოვს ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ძალა იხმაროს და ბულგარეთს დროებითი ზავის შეკვრასა და საზავო მოლაპარაკების დაწყებაში ხელი შეუშალოს.

ბუდაპეშტი. ბულგარეთის ლაშქრის ყოფილმა მთავარ-სარდალმა გენ. სავოვმა განაცხადა, ბულგარეთში ზოგიერთი მღელვარება და არეულობა იყო და მტერმა ამით ისარგებლაო.

ბერლინი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ავსტრია-გერმანიის ჯარები შაბათს ჩავიდნენ იქ. მათი დანიშნულებაა ჩააქრონ აჯანყება. ცნობებია, დროებით მთავრობა შესდგება, რომელშიაც რამდენიმე გენერალი შევაო. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ ხელი მოაწერა დეკრეტს ომის დროს ყველა დატუსაღებულთა პატიების შესახებ.

უცხოეთი

მოსკოვი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ბიულეტენი.

გერმანიის ახალი მთავრობა

ბერლინი. ვიცე-კანცლერი ფონ პაიერი პარტიებს მოელაპარაკება და საპარლამენტო რეფორმების გამო კონფერენცია მოიწვია. კონსერვატორებმა და მოუკიდებლებმა მოითხოვეს უმრავლესობის კაბინეტის შედგენა. კოალიციურ სამინისტროს საკითხი მოხსნილია, შედგება უმრავლესობის სამინისტრო, ნაციონალ-ლიბერალებმა ჯერ არ იციან, შევიდნენ მთავრობაში თუ შეიდემანის ჯგუფს დაუთმონ პორტფელები. დადგენილია, რომ დროებითი მინისტრები კავშირის საბჭოს წევრებად არ უნდა იყვნენ. პროგრამის საფუძვლად მიღებულია ს.-დემოკრატების პირობები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დემანები ბურჟუაზიულ პარტიებს შეუთანხმდებიან

ბერლინი. რეიხსტაგის ნაციონალ-ლიბერალთა პარტიამ მიიღო რეზოლიუცია მთავრობის პარლამენტარულად შედგენისათვის. რეზოლიუციაში ისინი მოითხოვენ რომ სტატს-სეკრეტარები მუდმივად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საქმეებში და აგრეთვე სახელმწიფოს პოლიტიკაში. შინაურ საქმეებში პარტია მოითხოვს პრუსიის საარჩევნო რეფორმის გატარებას სასწრაფოდ, ცენზურისა და სამხედრო წესდების მოწესრიგებას და დაპყრობილ ადგილებში სამხედრო ადმინისტრაციის ნაცვლად სამოქალაქო ადმინისტრაციის დაწესებას საგარეო პოლიტიკაში—ზავს იმპერიის ტერიტორიის ხელუხლებლად დატოვებით და გერმანიის კოლონიების დაბრუნებით; ბელგიის დამოუკიდებლობას მისი ნეიტრალიტეტის გარანტიებით; ფლამანდელების უფლებისა და მათი თვითგამორკვევის დაცვას შემდეგ წამოყენებულია მუდმივი ზავის მოთხოვნა, სალამს უძღვნიან ერთა ლიგის იდეას და ზღვებით თავისუფლად სარგებლობის უფლებას

ჩეხო-სლოვაკები.

ვენა. ომსკიდან იტყობინებიან, რომ ჩეხების სარდლად დანიშნულია ფრანგი გენერალი კანი (?), რომელიც რუსეთს მიემგზავრება.

პურის მონოპოლია.

კიევი. მთავრობამ მიიღო კანონი პურის მონოპოლიისა, რომლის ძალით ვალდებული არიან პური სახელმწიფოს საწყობებში მიიტანონ.

ბაქოს გაზ. „კასპი“

ბაქოდან ჩამოსულმა ერთმა ამხანაგმა ჩვენს რედაქციას გადმოსცა ბაქოს გაზეთი „კასპი“, რომლის არსებობა ბოლშევიკებმა, დღიდან ბაქოში გაბატონებისა, მოსპეს.

გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულია განცხადებები: 1) იქაურ ბონების გატაცების შესახებ: გატაცებით ოსმალოების შემოსვლის დროს ნახევრად დაბეჭდილი ბონები ოცდა ხუთ მანეთიანი ექვსი მილიონისა და ათ მანეთიანი ხუთ მილ.; განცხადებაში ნათქვამია: გამტაცებლებმა უსათუოდ მიიტანონ ბონები ქალაქის თვითმართველობაში თორემ სასტიკად დაისჯებიანო!—ხელს აწერენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხანხოისკი და ფინანსთა მინისტრი ა. ამირჯანოვი.

2) ქალაქის თავის განცხ., რომელიც იწვევს ხმოსნებს საბჭოს სექტემბრის 24 სხდომაზე. 80 ხმოსანში არის მხოლოდ ერთი ქართველი ბაქოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ს.-დე—ტი ვლ. ბაქრაძე, რვაოდე სომეხი და ათიმდე ებრაელი, დანარჩენი სულ ადერბეიჯანელი თათრობაა.

3) ბრძანება ნური-ფაშასი და ბაქოს კომენდანტის ნაზიმ-ბეისა. საღამოს შვიდი საათის შემდეგ ქუჩაში გავლა აკრძალულია; დაწესებულია ნიხრი პურზე 5 მან., ხორცზე ცხვრისა 5 მან. და ძროხისა 4 მან. სროლისა და უწესოებისათვის სასტიკი დასჯაა გამოცხადებული ვინც დაარღვევს დახვრეტილ ან ჩამოხრჩობილ იქნება.

ბევრი კიდევაც დაუხვრეტიათ და ჩამოუხრჩვიათ.

სახალხო ჯანმრთელობის და შეწყალების მინისტრად ყოფილა, როგორც განცხადებიდან სჩანს, ექიმი რაფი-ბეკოვი.

საინტერესოა მიმართვა ნური-ფაშასი ადერბეიჯანელ სომხებისადმი. მიმართვას უჭირავს გაზეთში სვეტნახევარი. „რაც იყო, ის წავიდა, ამბობს ნური-ფაშა—ჩემი ფადიშაჰის უმაღლესი ბრძანებით, მე, შემოვდგამ-რა პირველად ფეხს კავკასიის საზღვრებში, ყველაფერს წარსულს წარვუგზავნი ალლაჰის სამსჯავროს! მაგრამ ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ, რაც ჩემს მოსვლის შემდეგ მოხდა, ყველაფერს დიდ ყურადღებას მივაქცევ კმარა სისხლი! შეიცოდეთ უმანკო ბავშვების სიცოცხლე! ნუ აჰყვებით ინგლისის ინტრიგას!

შემდეგ დასძენს, რომ ანდრანიკი და სხვა სომხის სამხედრო პირები ინგლისელების ოქროთი არიან მოსყიდულნი! შეწყვიტეთ ყარაბახში, რომელიც ადერბეიჯანის ტერიტორიაში შედის, შეიარაღებული აჯანყებები ნუ დაარღვით მთამთა. იცოდეთ, რომ ოტომანის სამეფო აღიარებს მხოლოდ სამხრეთ ამიერ-კავკასიაში ოფიციალურად შემდგარ სამ რესპუბლიკას: **საქართველოს, სომხეთს და ადერბეიჯანს!**“

როგორც კერძოდ გადმოგვცემენ, ეს ნური-ფაშა, არის თურმე ძმა ენვერ-ფაშასი.

მოწინავე წერილს გაზეთში უჭირავს დიდი ადგილი იგი ასე იწყება „ექვსი თვის შეწყვეტის შემდეგ კვლავ იწყებს ჩვენი გაზეთი გამოსვლას, რომელიც 38 წელიწადი არსებობდა. ბაქოში გამეფებულ ველურ ბანდის წყალობით მას მოესპო არსებობა; დაშნაკელებმა დასწვეს შენობა, სტამბა, რედაქცია და გაზეთის საწყობები, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში მაღლა ატარებდა სიმართლის დროშას და სხვა გზა და გზა ავტორი აღნიშნავს ბოლშევიკ-დაშნაკელთა ვერაგობას და მხეცურ საქციელს და დასძენს: რადგანაც ჩვენი გაზეთის დევიზს მთელი ქვეყნის მუსულმანობის განთავისუფლება შეადგენდა, დღეიდან ოსმალთა ჯარის ბაქოში შემოსვლით და წესრიგის დამყარებით, იგი უფრო მეტის ენერგიით შეუდგება ამ დევიზის გავრცელებას, მისი ცხოვრებაში გატარებას, მისთვის არ არსებობენ პირადი ანგარიშები, მას—გაზეთს აინტერესებს მხოლოდ ფაქტები, მხოლოდ საქმე და საერთო ინტერესები! მშრომელი ხალხი და ყველა პატიოსანი შრომის მატარებელი პირი ჩვენში ნახავს მათი უფლებისა და ინტერესების საუკეთესო დამცველს..

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე საუბარი შინაგან საქმეთა მინისტრის, ინჟ. ბეიბუტ-ხან-ჯევანშირთან, რომელიც ყურადღებას აქცევს წესრიგის დამყარებას რესპუბლიკაში, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულებას, ლტოლვილების საკითხს. საწარმოო რაიონების ცხოვრების მოწესრიგებას, ქალაქის საქმეების ფეხზე წამოყენებას, ძლიერ პოლიციის შექმნას და ბაქოდან მსურველთა გასვლის საკითხს.

თანამშრომელი, ფელეტონისტი „იგლა“ ჩვეულებრივად იკბინება თავის წერილში: ბოლშევიკებიდან მენშევიკებამდე და ესერიდან დაშნაკამდე ყველანი მსუბუქები არიან და მალი ვით ტალღა როდესაც საჭიროა თავის ხსნა, ამბობს იგი და უსაყვედურებს, რომ გაჭირვების დროს დასტოვეს ხალხი და ფულით და სხვა აუარებელი ნადავლით რუსეთისაკენ ქნეს პირი!

საერთოდ გაზეთი ლამაზად და სუფთად არის გამოცემული და ღირს სამი აბაზი.

მატარებლის დამსხვრევა

(კახეთის რკ. გზაზე)

ოთხშაბათს, ოქტომბრის 2-ს იორის სადგურიდან მოდიოდა სამხედრო მატარებელი, რომლითაც გერმანელები მიემგზავრებოდნენ ახალ-სენაკისკენ. როდესაც მატარებელი ვაზიანის სადგურს უახლოვდებოდა, მემანქანემ ტორმაზი მომართა. რათა მატარებლის სისწრაფე შემცირებინა, როგორც ეს მიღებულია ყოველთვის სადგურთან მოახლოვებისას. და სწორედ ამ დროს ტორმაზის მომართვის შემდეგ მემანქანემ იგრძნო, რომ ორთქლმავალი ძლივს-ღა მიათრევს ვაგონებს. გერმანელ ჯარისკაცის სიგნალით მატარებელი შეჩერებულ იქმნა და აღმოჩნდა, რომ ტორმაზის მუშაობის დროს ორი ვაგონი დაახლოვებით შუაში მობმული ლიანდაგს ასცდა, ერთი მეორეს უწყოროდ გადაება და რელსებს შუა 200 საჟენის მანძილზე მიითრეოდა.

მსხვერპლი მცირეოდენია: ერთ გერმანელ ჯარისკაცს ნიკაპი აქვს დაზიანებული, და ერთ კონდუქტორსაც ხელი.

მატარებლის დამსხვრევის ადგილას გაემგზავრა რკინის გზის უფროსი და მისი გამორკვევით მიზეზი დამსხვრევისა შემდეგია:

მატარებელი მთლად საბარგო ვაგონებიდან შესდგებოდა და დატვირთული იყო ზოგი ზარბაზნებით, ტყვიის-მფრქვეველებით და სხვა საომარი მასალით, ზოგიც კიდევ ცხენებით და თივით. საომარი მასალები უფრო მეტი სიმძიმის მოთავსებული იყო უკანა ვაგონებში, ხოლო უფრო მსუბუქი, ცხენები და თივა წინა ვაგონებში. როდესაც მემანქანემ ორთქლმავალის სისწრაფეს უკლო, შეუძლებელი იყო ვაგონების სისწრაფის შემცირება, რადგან საბარგო მატარებელს ჰაერის ტორმაზი არა აქვს (როგორც მაგ., სამგზავროს) და ამიტომ ვაგონები ინერციით განაგრძობდნენ სვლას ძველის სისწრაფით. უკანა მძიმე ვაგონები (ზარბაზნებითა და ტყვიის-მფრქვეველებით) წინა მსუბუქ ვაგონებს დაეჯახა და როგორც მსუბუქნი ზევით აითრია.

აღსანიშნავია, რომ საბარგო მატარებელში ყოველთვის ასეთია მდგომარეობა, რომ რადგან ვაგონებისათვის მოუხერხებელია ტორმაზის გადაცემა ისინი განაგრძობენ ინერციით სვლას. და სწორედ ამიტომ მას, ვინც მატარებელს სადგურიდან უშვებს, ევალება ზომები მიიღოს, რომ უკანა ვაგონები ნაკლები სიმძიმის იყოს, რომ თავისი სიმძიმით არ დაეჯახოს წინა ვაგონებს და კატასტროფა არ გამოიწვიოს.

საბედნიეროდ, სიგნალი დროზე იქმნა მიცემული და ვაგონებში მჯდომი გერმანელები ყველანი თავის ადგილას დასხდნენ დამსხვრევის დროს და სრული სიმშვიდის დაცვით, შესაძლებელი გახდა მატარებლის გაჩერება თავის დროზე და კატასტროფის უმსხვერპლოდ გადატანა.

გამოძიება სწარმოებს და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს პარლამენტი.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს გუშინდელ სხდომაზედ გარჩეულ იქმნა საკითხი საბჭოს სახელწოდების შეცვლისა. ხმის უმრავლესობით გადასწყდა ეროვნულ საბჭოს ამიერიდან საქართველოს პარლამენტი ეწოდოს.

◆ **საუბარი პროფ. ცუგმაიერთან.** გაზეთებში დაბეჭდილია საუბარი გერმანელთა მისსიის წარმომადგენელ პროფ. ცუგმაიერთან. პროფესორი აღნიშნავს, რომ ბულგარეთში მდგომარეობა გამოსწორდა. შემდეგ ეხება იმ ჭორებს, ვითომ საქართველოდან გერმანელთა ჯარი წასვლას აპირებდეს. პრ ცუგმაიერი შეხებია აგრეთვე გენ. ალექსეევის მოქმედებას, ტყუილი შიშია მისი, ყოველ შემთხვევაში გერმანიის ჯარი მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცავს საქართველოსაო.

ცუგმაიერი აღნიშნავს აგრეთვე გერმანიის შინაურ მდგომარეობის სიმტკიცეს და ამბობს: კანცლერის ჰერტლინგის გადადგომა როგორც რეაქციონერისა, პარტიების შეთანხმებას იწვევს და მთავრობა კოალიციონური პრინციპით შესდგებაო.

ბოლოს იგი აღნიშნავს: ქართველი საზოგადოება დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მტრების მიერ გავრცელებულ ჭორებს, რომელიც გახშირდა ამ ბოლო დროსაო.

◆ **განათლების სამინისტრომ** თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნისა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა სტუდენტობას რიგ გარეშე მიეცეს საერთო საცხოვრებელი ბინა.

სტუდენტთა წარმომადგენლებმა აუხსნეს ქალაქის გამგეობის წევრს ბ. ფირუმოვს, რომ ახლად ჩამოსულ სტუდენტობიდან მრავალი პირდაპირ ქუჩაში ათევს ღამეებს და სთხოვს რაც შეიძლება მალე იქმნას ზომები მიღებული

გამგეობის წევრმა თავის მხრით აღუთქვა სტუდენტების წარმომადგენლებს, რომ ის ყოველ ღონეს იხმარს, რათა პირველ რიგში უშოვოს ბინა უბინაო სტუდენტობას.

— ამავე განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თავის წინაშე, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას დაკლებულ ფასებში მიეცეს საშუალება ტრამვაით მოგზაურობის დროს. და ეს მით უფრო საჭიროდ იცვნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი მოთავსებულია ქალაქის განაპირა უბანში—წყნეთის ქუჩის გასათავარში და ყველა სტუდენტი იძულებულია ტრამვაით იმოგზაუროს.

◆ **გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო** გაიმართება დღეს, საღამოს 8 საათზე, კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩაზე) საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: სანდრო ყანჩელი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ალი არსენიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხ. აგრეთვე წაკითხული იქნება გალაქტიონ ტაბიძის მრავალი ახალი ლექსები. ბილეთების შეძენა შეიძლება დღესვე—კონსერვატორიაში.

◆ **ლექტორების კრება.** დღეს, ოქტომბრის 5 საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტ ს შენობაში, მიხეილის პრ. № 91, შესდგება სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორების საერთო კრება ლექციების პროგრამის შესამუშავებლად

◆ **დატუსაღება.** ტფილისის მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს დავით აბულაძე, როგორც საზოგადო წესიერების დამრღვეველი.

◆ **თავის მოკვლა.** ოქტომბრის 3, საღამოს 7 საათზე, ჩერქეზიშვილის ქ № 143 საკუთარ ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ნიკიტა შჩიკოვსკიმ, გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ევ. გეგეჭკორის და გენ. მაზნიაშვილის დაბრუნება.** ოქტომბრის 3-ს, ნაშუადღევის 4 საათზე ქალ. ეკატერინოდარიდან დაბრუნდნენ ევ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოების** წლიური კრება გადაიდო ოქტომბრის 12-ს, საღამოს 7 საათისთვის.

◆ **ბოროტმოქმედის დაპატიმრება.** ბონების დამზადებელ ექსპედიციის ერთი გამძარცველთაგანი ვეხულია დააპატიმრეს სოფ. ზანძაში, მას თან აღმოაჩნდა 32,000 მან.

◆ **დაპატიმრება.** შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო რაზმმა დააპატიმრა პოლკოვნიკი ალექსანდრე იოსების ძე გოგიტიძე, ვლადიმერ ეგნატეს ძე ნარსია, ბორის ვლადიმერის ძე გორჩაკოვი და ნიკოლოზ ივანეს ძე ბაქრაძე მაქრის სპეკულაციისთვის.

◆ **გვარდიის შესანახი ხარჯები.** მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმად გადასწყდა ერთი მილიონი მანეთის კრედიტი გაეხსნას სამხედრო მინისტრს სახალხო გვარდიის შესანახ ხარჯების დასაფარავად.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** რედაქციამ სოფ. კოდანახიდან სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციის სახელით კ. დ რაშვილის მიერ სამგლოვიარო წერილი მიიღო განსვენებულ ამხანაგის ილია ანდრონიკაშვილის გარდაცვალების გამო.

◆ **ლექცია.** კვირას, ოქტომბრის 6, დილის 12 საათზე ფრელინის ქუჩა № 11. ქართულ გერმანულ საზოგადოებაში შესდგება ლექცია ბ-ნ თილოვან ვესტერპაგენის შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომიანობის შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ. ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები. ლექციის შემდეგ კამათი. საჭიროა ჩვენ საზოგადოება ყურადღებით მოეკიდოს ხსენებულ ლექციას.

◆ გამოვიდა და იყიდება წიგ. გ. ს. მაღაზიაში ახალი წიგნაკი „მასწავლებელთა ორგანიზაციები ამერიკაში“. კ. ბურჯანაძისა ფასი 2 მან.

◆ **ტელეგრაფის კავშირი ტფილისა და ეკატერინოდარს შუა.** „ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ოქტომბრის 3 რველიდან აღდგენილ იქმნა ტელეგრაფის კავშირი ტფილისსა და ეკატერინოდარს შორის მხოლოდ რადგან ეკატერინოდარში სწრაფ-მომქმედი მანქანები (ბოდო, იუზა და იუტსტონი) ჯერ არ არის გამართული, დროებით დეპეშათა გაცვლა-გამოცვლა ხდება მხოლოდ „მორზეს“ მანქანის საშუალებით და თან ამ მანქანით ყველა კორესპონდენტის დაკმაყოფილება შეუძლებელია, დროებით მიღებულ იქმნა მხოლოდ სასწრაფო დეპეშები, რომელიც მიმართული იქნება ყუბანის ოლქში, არმავირისა და მაიკოპის გამოკლებით და აგრეთვე სტავროპოლის გუბერნიაში უკრაინაში და დონში“.

◆ **ეროვნ. საბჭოს მოსამსახურენი:** ენკენისთვის 26 შესდგა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოსამსახურეთა საერთო კრება კოოპერატივის დაარსების შესახებ კრებამ დაადგინა დაარსოს საეკონომიო საზოგადოება. მე-14 მუხლში წესდებისა, რომლითაც წევრად შესვლის უფლება ჰქონდა მარტო ეროვნულ საბჭოს წევრს და ეროვნ საბჭოს კანცელარიის მოსამსახურეს, კრებას შეაქვს ცვლილება და ადგენს: საეკონომიო საზოგადოების წევრებად შეუძლიანთ იყვნენ ეროვნულ საბჭოს, მთავრობის და სამინისტრო დაწესებულებათა მოსამსახურენი (სამინისტროები თავისი შტატებით). საპაიო გადასახადი დადგენილ იქმნა 50 მან. საწევრო 5 მ. არჩეულ იქმნა დრ. გამგეობა შემდეგ პირთაგან: ი. ჯაფარიძე, ს. ქორქოლიანი, ი. ლასხიშვილი, პ. ლეჟავა, ე. მაისურაძე. კანდიდატად ბ. გამსახურდია, დ. ნახუცრიშვილი, ქ-ნი ქავთარაძე. საქმის მწარმოებლად გ. ბოჭორიძე.

◆ **სამხედრო ექიმთა კრება.** პროფესიონალურ კითხვათა შესახებ დანიშნულია დღეს, შაბათს, 4—6 საათზე ქართულ კლუბში. სასურველია ამხანაგები უთუოდ მობრძანდნენ.

◆ **დატუსაღება.** საგანგებო რაზმმა შეიპყრო ალექსანდრე იგივე სერაფიონ კანჯარია, რომელსაც ბრალდება სპეკულიანტობა შაქრისა და სხვა სანოვაგისა.

◆ **ლტოლვილები.** საქართველოში სომეხთა ეროვნ. საბჭოსთან არსებულ ლტოლვილთა განყოფილების გამგეს ცნობით, საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში იმყოფება 150,000 ლტოლვილი.

◆ **სიკვდილით დასჯის კატორღით შეცვლა.** სამხედრო მინისტრმა ახალსენაკის საერობო ყრილობის შუამდგომლობის თანახმად იმ ავაზაკებს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი სამეგრელოში აჯანყებისა და ანარქიის მოწყობისათვის, სიკვდილით სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალა და აცნობა გენერალ იოსებ გედევანიშვილს, რომ ისინი დაბორკილნი და სასტიკის ზედამხედველობით გაგზავნოს ქუთაისის საპყრობილეში.

◆ **მისალმების დეპეშა.** სამხედრო მინისტრმა ოზურგეთის საერობო ყრილობას შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მივესალმები გურიის პირველ საერობო ყრილობას და ვუსურვებ წარმატებას პასუხსაგებ მუშაობაში. ვიმედოვნებ თქვენი ერობა გამტარებელი იქნება ცხოვრებაში, საქართველოს მთავრობის განზრახვათა და ხელს შემიწყობს არმიის შექმნისათვის.

◆ **დელეგატების წასვლა.** გუშინ ღამით ბაქოს გაემგზავრენ იქაური ეროვნული საბჭოს წევრები ვლ. ბაქრაძე და ალ ქორქოლიანი, რომელნიც ხუთი დღის წინად განსაკუთრებულის მონდობილობით ბაქოდან ჩამოვიდნენ. მათ დავალებული აქვთ ბაქოელი ქართველების სამშობლოში გამომგზავრების საქმის მოგვარება.

◆ **ტრამვაის მიმოსვლა** გუშინ ტფილისში ტრამვაი სათბობი მასალის უქონლობის გამო არ მოძრაობდა.

რკინის გზებზე.

◆ **ამიერკავკასიის რკინის გზებზე.** სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ჯამალიანმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს დახმარება გაუწიოს საერთაშორისო რკინის გზის კომისიის მეცადინეობის აღდგენაში, რომლის პირველი სხდომა მოხდა სექტემბრის 3 ს, აგრეთვე მოწყობილ იქმნას სამგზავრო და საბარგო მატარებლების წესიერი მიმოსვლა კავკასიის გზებზე. მინისტრმა რამიშვილმა უპასუხა, რომ წესიერი მიმოსვლა ადგენილ იქნება მაშინვე, როგორც დაბრუნდება ტფილისში ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაფაროვი.

სასწავლებელში.

◆ **ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** მისაღები და განმეორებითი გამოცდა გრძელდება თხუთმეტ ოქტომბრამდის ამასთანავე გიმნაზიასთან

ახლად იხსნება საანბანო განყოფილება თხოვნები მიიღება 15 ოქტომბრამდის.

◆ **ხაშურის ქალთა გიმნაზიაში** კურს დამთავრებულებმა უკვე მიიღეს ატესტატები. მათ შორის ორმა მარ. წულაიამ და ვალ. ლუნინისამ ოქროს მედლით გაათავეს გიმნაზია.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** პროფესორი გ. ახვლედიანი ლეჩხუმიდან ტფილისს დაბრუნდა. მომავალ სასწავლო წელს წაიკითხავს ლექციებს: საერთო ენათმეცნიერებაზე სანსკრიტზე და ოსური ენის შესახებ.

— პროფესორი—ანატომი ნათიშვილი ხარკოვიდან უკვე გამომგზავრებულა და მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა.

◆ **ავლაბრის გიმნაზიაში** ტფილისის—ავლაბრის ვაჟთა გიმნაზიაში არის თავისუფალი ადგილი და მსურველები მიიღებიან: საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებაში: 1-ში, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში, მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ ბ. დირექტორს გიმნაზიის კანცელარიაში 9—12 საათამდე.

◆ **ფოთი.** ფოთის სახელოსნო სასწავლებელში მისაღები გამოცდები დაიწყება შვიდს, ხოლო მეცადინეობა ოქტომბრის 10.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

შაბათს, ოქტომბრის 5-ს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის ბინაზე (პარტიის ბიურო, ზედა სართული) დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება მნიშვნელოვანი საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს კომიტეტის წევრებს სხდომაზე დროიანად და უკლებლივ გამოცხადნენ.

—

კვირას, ოქტომბრის 6, დილის 10 საათზე, პარტიულ დარბაზში დანიშნულია საქართველოს რკინის გზების ცენტრალურ კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები.

—

სეირნობის მომწყობ ამხ. კრება კვირას, ოქტომბრის 6 დილის 11 საათზე დანიშნულია კრება იმ ამხ. ქალთა, ვინც მონაწილეობას მიიღებს სეირნობის გამართვაში, რომელსაც ჰმართავს ტფილისის საქ. კომიტეტი თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ამხ. ვსთხოვთ ნუ დააკლდებიან.

—

მუშათა კავშირის გამგეობ. კრება ორშაბათს, ოქტომბრის 7-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება.
ამხ. ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

—

მთავარი კომიტეტის კრება დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 6-ს, დილის 11 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

—

სიღნაღის სამაზრო ყრილობა. ოქტომბრის 6-სს, კვირას, დილის 11 საათზე ქ. სიღნაღში ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტების სამაზრო კრება მე-3 თავისუფალ კონფერანციაზე მოხსენებათა მოსასმენად კრებას დაესწრება ტფილისიდან ეროვნ. საბჭოს წევრი ამხ. აკაკი ფაღავა.

საყოველთაო სწავლება.

განათლებული კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთ არა ერთხელ გამოუთქვამთ აზრი, რომ სიბრძნე არის დასაბამი, საფუძველი როგორც ადამიანის ზნეობისა, ისე მისი კეთილდღეობისა, რომ მხოლოდ ცოდნა და გონებრივი განვითარება ჰქმნის ადამიანის ბედნიერებას, რომ მხოლოდ გონება ამოძრავებს უსულო საგანს, მკვდარს მატერიას.

მართალია, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში ასეთი შეხედულება გონების შემოქმედებითი ძლიერების შესახებ ცოტა შეირყა და ეს დანიშნულება რწმენას მიაკუთვნეს, მაგრამ, ევროპაში მეცნიერებათა აღორძინებისას და განსაკუთრებით განათლების საუკუნის დროს გონებამ ისევ პირველი ადგილი დაიჭირა და მისი ავტორიტეტი არა თუ დაეცა, არამედ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. ამ დროს ბრძენმა ბეკონმა გამოსთქვა და განავითარა აზრი, რომ ცოდნა არის საფუძველი ადამიანის ბატონობისა ნივთიერებაზედ. რომ მხოლოდ ცოდნით ბრძანებლობს იგი ამ ქვეყნად და იმორჩილებს ბუნებას. ლეიბნიცის აზრით კი კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ განათლების საშუალებით. ამ მხრივ მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთმა ყველას გადააჭარბა: მისი აზრი და ღალადი ნამდვილი აპოთეოზია ადამიანის გონებისა, იგი აღიარებულია უზენაეს ძალათ, რომლის წინაშეც ქედს იხრის ყოველი მთელს სამყაროში. მართალია, იმავე საუკუნეში რუსსომ სასტიკად გაილაშქრა გონებისა და განათლების წინააღმდეგ, მან ხელოვნება—მეცნიერებათა განვითარებას მიაწერა ფრიად არა სიმპატიური როლი, რომ ვითომ მათი წყალობით წარმოშობილიყოს ქვეყნად მრავალ გვარი ბოროტება, განსაკუთრებით ადამიანთა უთანასწორობა, მათ მიერ ერთი მეორის ჩაგვრა და სხვა. მაგრამ განვლო დრომ, და ეს შეხედულებაც შეიცვალა: განათლებას დადებითი თვისებებით ახასიათებენ, მის მნიშვნელობას პრინციპიალურად ვერ უარჰყოფენ, თუმცა მიუხედავად ამისა, მას ხშირად მაინც არა სთვლიან აუცილებელ საჭიროებად ადამიანთა კეთილდღეობისათვის; იგი ჯერ ისევ ცხოვრების სამკაულად არის მიჩნეული და ამტკიცებენ: **ხანამ საყოველთაო სწავლა-განათლებაზე ვიზრუნებდეთ, საჭიროა ხელი შეუწყოთ ხალხის ქონებრივ კეთილდღეობის გაუმჯობესებასაო.**

მაგრამ სწორედ აქ, ასეთს მსჯელობაში არის დიდი, ძირითადი შეცდომა და სწორედ აქედან უნდა დაიწყოს მისი გასწორებაც.

მართალია, ყოველთვის, რაც ადამიანს ხელთ აქვს—ბინა, საზრდო და სამოსელი არის მისი შრომის ნაყოფი, მისი ნაოფლარი, მაგრამ შრომამ რომ უკეთ დააკმაყოფილოს, რომ ნაკლებმა მუშაობამ მეტი სარგებლობა მოუტანოს, საჭიროა ცოდნა და მხოლოდ ცოდნა. ცხადია ცოდნაც მრავალნაირია და პირველ ყოვლისა ადამიანისათვის საჭიროა ცოდნა პრაქტიკული, ისეთი, რომელსაც იგი ახლავე ცხოვრებაში გამოიყენებს, რომელიც მას შეუქმნის ქონებრივ სიმდიდრეს. ასეთი ცოდნა კი გახლავთ ეგრედ წოდებული **სატეხნიკო ცოდნა**, ე. ი. ისეთი, რომელიც უჩვენებს, ასწავლის ადამიანს, თუ როგორ უნდა გარდაჰქმნას მან მის გარეშე არსებული მოვლენანი და ნივთიერი საგნები თავისი მიზნების განსახორციელებლად, როგორ უნდა დაიპყროს და მოიხმაროს ადამიანმა ბუნება თავის სასარგებლოდ.

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ყოველს ცალკე მომენტში, ამა თუ იმ დროს მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორს დონეზედა სდგას ამა თუ იმ მხარეში თვით ტეხნიკური ცოდნის საქმე, რა მდგომარეობაშია თვით ასეთი ცოდნა.

სატეხნიკო ცოდნათა პროგრესი საზოგადოდ ორი უმთავრესი მიმართულებით გამოიხატება. ერთია იმ ახალ საშუალებათა თანდათანობითი აღმოჩენა, რომელიც საჭიროა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად და მეორე-კი—გამოგონება ახლისა და გაუმჯობესება ძველი საწარმოვო იარაღებისა. მაგრამ საფუძველი ყველა ამისა, ცხადია, არის **თეორიული ცოდნა.**

ხანდახან განყენებულად მოაზროვნე ადამიანის შემოქმედებას თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს რეალურს ცხოვრებასთან, მისს სინამდვილესთან, მაგრამ ჟამთა ვითარების შემდეგ დგება ისეთი მომენტი, როცა ეს თანამედროვეთაგან შეუმჩნეველი მოვლენა მთელის სიცხადით წამოგვეჭრება ხოლმე თვალწინ და მთელს ეპოქასა ჰქმნის ცხოვრებასა და ახალ იდეათა სამეფოში. იგი აფხიზლებს დაკვირვებულს ადამიანს და აგონებს მას უახლოეს პრაქტიკულ ცოდნის გზაზედ. თანამედროვე მექანიკის განვითარება ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა, რომ იგი შორეულს თეორიულს გეომეტრიას არ ემყარებოდეს, და რაკი ეს ასეა, ცხადია, რომ ორთქმავლის გამოგონებასაც ნათელი და პირდაპირი კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ ჩვენგან უშორეს ეპოქაში ვიღაც ევკლიდი თავს იმტვრევდა გეომეტრიული თეორემებით. ამრიგად, რადგან თეორიული ცოდნა არის ძირითადი საფუძველი სამრეწველო პროგრესისა, ცხადია, მისი ხალხში ფართოდ გავრცელება უნდა იყოს ერთი უდიდესი ფაქტორი ხალხის შრომის განაყოფიერებლად. დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ და დარწმუნებულიცა ვართ რომ აუცილებლად გვესაჭიროება ტეხნიკური ცოდნა, ფართო სამრეწველო განათლება, მაგრამ, როგორც უკვე ცხადვყავით, ასეთი ცოდნა უთუოდ ფართო საყოველთაო და სავალდებულო სწავლაზე უნდა დაემყაროს, მხოლოდ ეს უკანასკნელი იქნება მისთვის მტკიცე, ურყევი ნიადაგი. მხოლოდ ასეთი საფუძველი გახდის ტეხნიკურსა და პროფესიონალურ ცოდნას თავისი დანიშნულების ღირსად და ადვილადაც მიაღწევინებს დასახულს მიზნებს. უამისოდ ტეხნიკურ-პროფესიონალური ცოდნა გადაიქცევა უბრალო, დაბალი ხარისხის ხელობად, რომლისათვისაც ის ეღირებოდა დიდი ენერგიისა და ფულის დახარჯვაც.

გერმანიაში დიდი ხანია, რაც ტეხნიკური სკოლა ბუნებრივს გაგრძელებას შეადგენს პირველდაწყებითი სასწავლებლისას. ამ მხრივ ამერიკამ გაუსწრო კიდეც თავის, მასწავლებელს. მაგრამ საზოგადო პირველდაწყებით განათლებას გარდა ასეთს დამხმარე ხასიათის დანიშნულებასა თავისთავადაც, ტეხნიკურ ცოდნასთან დამოუკიდებლადაც, დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი ხალხის დიდი უმრავლესობისათვის ერთად ერთი და პირდაპირი საშუალებაა ყოველგვარ ცოდნათა მისაღწევად და გასავრცელებლად, იგი ერთად ერთი ძაფია, რომელიც აკავშირებს ხალხის უმრავლესობას მთელი კაცობრიობის სულიერ მემკვიდრეობასთან, მისი წყალობით ხალხი ეზიარება წარსული ცხოვრების გარდაუვალს, სამარადისო კულტურას.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს თუ რამდენად საჭიროა ჩვენში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება, მაგრამ, ამასთანავე უეჭველია ისიც, რომ ეს საკითხი ფრიად რთულია თავისთავად და მისი ერთბაშად განხორციელება კიდევ უფრო ძნელი. ამიტომ, პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად მთელი ეს საკითხი ორ დიდ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთი იქნება უფასო სავალდებულო სწავლის შემოღება სასკოლო ასაკის ბავშვთათვის, ხოლო მეორე —დიდებისათვის.

გ. ჟუმბურიძე.

აღმაშფოთებელი ფაქტი

(წერილი ქალ. სამტრედიიდან)

ჩვენს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აუარებელი მუწუკები და ზედ-მეტი ხორცები დარჩა, რომელთა ოპერაციას ჩვენი დაუღალავი მთავრობა ბასრი მახვილით ახდენს. მაგრამ ეს მახვილი მთავრობისა ყოველგან არ მიწვდა. რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს სხეულისათვის ეს დაჩირქიანებული პარაზიტები მოეცილებია. ასეთ პარაზიტებად უნდა ჩაითვალოს ის რუსის „ჩინოვნიკობა“, რომელთაც დამოუკიდებელ საქართველოისა არაფერი სწამთ, მზად არიან ყოველ მოხდენილ დროს მას ლახვარი ჩასცენ ზურგიდან, მაგრამ თუ კიდევ ისინი შიგა და შიგ განაგრძობენ ჩვენი მთავრობის ლაქუცს ეს იმიტომ, რომ მათ ოც რიცხვში ჯამაგირები არ დაკარგონ და კიდევ ერთ ხანს ისედაც დაუძლურებულ საქართველოს მეტ ბარგად დააწვნენ. ასეთი „ჩინოვნიკების“ კატეგორიას შეიძლება მიეწეროს სამტრედიის გამომძიებელ-მსაჯული, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობა ოჯახითურთ საოხუნჯოთ და დასაცინავად გადაქცევია, მაგრამ, რომ ერთხანს კიდევ შეინარჩუნოს თავისი ადგილი და შესძლოს უფრო მეტი მოაგროვოს „კერენსკები“ და რუსის ფულები, ადგილს არ ეშვება, კარგად ხედავს, რომ მას არა გაეგება ჩვენი ენის, ზნე-ჩვეულების, ადათის და მისწრაფების, მაგრამ ალბად კიდევ ცდილობს რაიმე რუს-ჩინოვნიკური დაამყნოს საქართველოს.

ყოველივე ნაკლულევანებასთან ერთად ამ ვაჟბატონს აუარებელ ბოროტმოქმედებებში სდებენ ბრალს, რომელთა შორის არ შემიძლია არ დავასახელო ერთი მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი.

იქ სადაც ბინადრობს ეს მსაჯულ-გამომძიებელი სახლის მეპატრონეს მქვრივს გ. ც. ყავს ცელქი და შეიძლება, ეშმაკი ვაჟი სულ 12—13 წლისა. რუსის „ჩინოვნიკს“ არ მოსწონებია ამ ბავშვის მეტის-მეტი სიცელქე, ერთ დღეს უტაცნია ხელი და იმდენი უცემნია მუშტით მუცელში და ცხვირ-პირში, რომ ბავშვი სულ გასისხლიანებული ცხვირ-პირით და მუცელში ულმერთოდ მუშტის ცემით სიკვდილზე მიმდგარი ძლივს გამოუგლეჯიათ გამხეცებულ ადამიანის ხელიდან.

რაოდენიმე ხნის შემდეგ ეს „მართლმსაჯული“ ეძახის ბავშვის დედას და ეუბნება: ხომ ხედავ შენი შვილი არ ვარგა კაცად. მე თქვენ მოგცემთ რევოლვერს, ესროლეთ თქვენს შვილს, და როდესაც ამას შეასრულებთ მე, როგორც გამომძიებელი და მსაჯული საქმეს დავფარავ, გაგამართლებთ“. ამ სიტყვების გაგონებაზე გულ-შეწუხებული დედა ძლივს ახერხებს მოსცილდეს ამ „ადამიანს“, მას აქეთ ევედრება მას მომცილდი, გადამეცალე ჩემი სახლიდანო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თვით გ. ც. იძულებული გახდა გასცილებოდა ოჯახს და სახლ-კარი მის ანაბარა დაეტოვებია.

საჭიროა ამასაც მიაქციოს ჩვენმა მთავრობამ ყურადღება.

აქაური.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი ზ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ლ. ა. ხარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი გ. ზ. მეჯრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუშხი ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

ექიმ ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა **რენტგენის სხივები და ელექტრონით.** მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჰპეების ავადმყოფობა. ავადმყ მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შეახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34 301

ექიმი მ. ზ. მეფხაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიზდის ქ. № 19. 992

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სხივებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიან ს პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. მ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აპეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფეს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. აპეტიხიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა. შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხპ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა